ა(ა)იპ „საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციას“ და ონის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ონი 16 დეკემბერი 2022 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია“ (მის.: თბილისი, ბახტრიონის ქ. N10 I სად, II სართ, ბ.4 ს/კ 202359081) (შემდგომში - ფედერაცია) წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის კონსტანტინე ამირაჯიბის სახით,

მეორე მხრივ, ონის მუნიციპალიტეტის მერია (მისამართი: ქ. ონი, აღმაშენებლის ქ. №40) წარმოდგენილი მისი მერის, სერგო ხიდეშელის სახით (შემდგომში მერია)
(შემდგომში ერთობლივად - მხარეები)

ვითვალისწინებთ რა საქართველოს სახელმწიფოს პრიორიტეტებს (საქართველოს კონსტიტუციის 34[1] მუხლი, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აპრილის N601 განკარგულებით დამტკიცებული ,,სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, სპორტისა და განათლების სფეროში, მხარეები თანამშრომლობის სურვილით, ურთიერთპატივისცემისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე დაყრდნობით ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. თანამშრომლობის საგანი:

1. ერთობლივი ძალისხმევითა და შეთანხმებული მოქმედებით, ონის მუნიციპალიტეტში ხელი შევუწყოთ:

1.1. მუნიციპალიტეტის ფარგლებში მცხოვრებ მოსწავლე ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, ფიზიკურ აღზრდა-განათლებისა და სასკოლო სპორტის განვითარებას, მოსწავლეთა ჩართულობასა და მასობრიობას სპორტულ და ფიზიკურ აქტივობაში.

1.2. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის თამაშებისა და ცალკეული ღონისძიებების ჩატარებასა და სხვა სახის ერთობლივი პროგრამების განხორციელებას.

1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ იმოქმედებენ თანასწორუფლებიანობის პრინციპებითა და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 2. მემორანდუმის სამიზნე ჯგუფები

საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების:

- მოსწავლეები
- პედაგოგები (მასწავლებლები)
- მოსწავლეთა მშობლები.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები:

3.1. **მხარეები** ნებაყოფლობით, თანამშრომლობის სურვილით, თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში იღებენ ვალდებულებას მემორანდუმის ფარგლებში ხელი შეუწყონ:

3.1.1 . მხარეების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას;

3.1.2. პარტნიორულ საწყისებზე ერთობლივი პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც მოიცავს საქართველოში მოზარდი თაობისათვის სპორტული და ფიზიკური აქტივობის შემცველი ღონისძიებების, მათ შორის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის, სასკოლო ლიგის, სპორტულ-შემეცნებითი ოლიმპიადის ორგანიზებას;

3.1.3. მასობრივი სპორტის განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის პროგრამებში მოზარდთა მაქსიმალურად ჩართვისა და ყველა ეტაპზე მონაწილეობის ხელშეწყობას;

3.1.4. მასობრივი სპორტის განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის ღია ჩემპიონატების ორგანიზებას;

3.1.5. ჯანსაღი ცხოვრების წესის, სასკოლო სპორტსა და ფიზიკური აღზრდა-განათლების სფეროებში თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებზე დამყარებული სასწავლო და მეთოდური პროგრამების დანერგვის ხელშეწყობას;

3.1.6. სპორტისა და ფიზიკური განათლების მწვრთნელების, პედაგოგებისა და მოხალისეების პროფესიულ განვითარების მიზნით ერთობლივი სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას;

არ განახორციელონ ისეთი ქმედებები, რომლებიც დააზარალებს, ან ხელს შეუშლის, ან შელახავს **მემორანდუმის ხელმომწერი რომელიმე მხარის** საქმიანობას.

მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2025 წლამდე.

მუხლი 5. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა და მემორანდუმის შეწყვეტა

5.1 მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხდება წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე. მემორანდუმის ცვლილება წარმოადგენს წინამდებარე მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

5.2 მემორანდუმის მოქმედება წყდება მემორანდუმის მოქმედების ვადის გასვლით ან მხარეთა წერილობითი შეთანხმების გზით.

მუხლი 6. ზოგადი ხასიათის დებულებები

6.1 მემორანდუმის ფარგლებში ცალკეული ღონისძიებების ჩატარებისა და სხვა სახის ერთობლივი მოქმედებების განხორციელების რეგულირება მოხდება მხარეებს შორის შეთანხმებების საფუძველზე, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში (მაგალითად: საქართველოს

დამოუკიდებლობის დღისადმი, ან 1 ივნისის ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ერთჯერადი სპორტული ღონისძიებები და საქველმოქმედო აქციები და სხვ.).

6.2 მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ასლად, რომელთაგან თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები

საქართველოს ბავშვთა და სასკოლო
სპორტის ეროვნული ფედერაცია
საიდენტიფიკაციო კოდი: 202 359 081

კონსტანტინე ამირაჯიბი
ფედერაციის პრეზიდენტი

სერგო ხიდეშელი
ონის მუნიციპალიტეტის მერი